

**საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ ჩატარებული მედია
მონიტორინგის შედეგები**

(10.05.2014 – 23.05.2014)

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნულმა კომისიამ 2012 წლის 15 აგვისტოს „წინა საარჩევნო პროცესში მედიის მონაწილეობისა და მისი გამოყენების წესის“ შესახებ დადგენილება დაამტკიცა.

დადგენილების თანახმად განისაზღვრა, რომ კომისია უფლებამოსილია შეისყიდოს მედია მონიტორინგის განხორციელებისათვის საჭირო მომსახურება ან უშუალოდ განხორციელოს მედია მონიტორინგი ან/და გამოიყენოს მაღალი საზოგადოებრივი ნდობის მქონე საერთაშორისო ორგანიზაციების ან/და სამოქალაქო სექტორის სუბიექტების მიერ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობისას ჩატარებული და ამ წესების რელევანტური, საჯაროდ ხელმისაწვდომი მედია მონიტორინგის შედეგები.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის კომისია თავად ატარებს წინასაარჩევნო პერიოდის მედია მონიტორინგს. საქართველოს ორგანული კანონის „საარჩევნო კოდექსის“ თანახმად სამაუწყებლო კომპანიების მონიტორინგი კენჭისყრამდე 50 დღით ადრე დაიწყო. მონიტორინგს დაექვემდებარა ყველა კერძო საერთო ლიცენზიის მფლობელი კომპანია, საზოგადოებრივი მაუწყებელი და საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია.

მედია მონიტორინგის პროცესში კომისიის დაკვირვების საგანი არის:

- ა) წინა საარჩევნო რეკლამა;
- ბ) წინა საარჩევნო დებატები;
- გ) ახალი ამბები და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები;
- დ) წინა საარჩევნო აგიტაცია;

მონიტორინგის შედეგებში მოცემულია დეტალური ანალიზი სამაუწყებლო კომპანიებში წინა საარჩევნო ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამის სამართლიან და გამჭვირვალე განაწილებაზე. საანგარიშო პერიოდში ახალი ამბებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების, ასევე წინა საარჩევნო დებატების მონიტორინგის პროცესში ყურადღება გამახვილებულია სამაუწყებლო კომპანიების მხრიდან კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის დათმობილ დროზე და მათი წინასაარჩევნო აქტივობების გაშუქებაზე. კომისიის მონიტორინგის დაკვირვების საგანია, ასევე, მაუწყებლის მხრიდან იმ პოლიტიკური სუბიექტების საქმიანობის გაშუქება, რომლებიც არ წარმოადგენენ კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს, მაგრამ მონაწილეობენ არჩევნებში. მაუწყებლების მიერ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ობიექტური გარემოებების არარსებობისას, კომისია შეისწავლის ყოველ კონკრეტულ საკითხს და გაატარებს კანონით გათვალისწინებულ ღონისძიებებს. მოცემული მედია მონიტორინგის შედეგები წარმოადგენს შუალედურ ანგარიშს და მოიცავს პერიოდს 2014 წლის 10 მაისიდან 23 მაისის ჩათვლით.

(10.05–23.05)

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“

შპს „სამაუწყებლო კომპანია რუსთავი 2“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ (40.2%) და „ქართულ ოცნებას“ (35.8%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.rustavi2.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „P.S.“, „არჩევანი“, „კვირის თემა“ და „განსხვავებული აქცენტები“. 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში გადაცემას „არჩევანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ჩვენი საქართველოს“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „კვირის თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები, ხოლო გადაცემას „განსხვავებული აქცენტები“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის სამაუწყებლო ბადეში განთავსებულ სხვა თემატიკის გადაცემებს საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები. კერძოდ, გადაცემას „პროფილი“ სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მერობის კანდიდატი ნიკა მელია, ხოლო გადაცემას „ვანო ჯავახიშვილის შოუ“ სტუმრობდა „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მერობის კანდიდატი ასმათ ტყაბლაძე.

შპს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელემედი“

შპს „ტელემედის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (43.7%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (20.7%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ (11.2%) მოხვდა. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „ტელემედის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელემედის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.imedi.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელემედმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელემედის“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „ტელეიმედის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები თეა სიჭინავას „პოლიტიკის დრო“, „პანორამა“ და „რეაქცია“. 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში გადაცემას თეა სიჭინავას „პოლიტიკის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. ორივე შემთხვევაში გადაცემაში შედგა დებატები აღნიშნული პარტიების წარმომადგენლებს შორის. ამავე პერიოდში გადაცემას „რეაქცია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ორჯერ) და „პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში ორჯერ შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის, ხოლო გადაცემის მეორე ბლოკი პირველ შემთხვევაში დაეთმო „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო პრეზენტაციას, ხოლო მეორე შემთხვევაში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო პრეზენტაციას. საანგარიშო პერიოდში გადაცემაში „პანორამა“ გავიდა სიუჟეტი „ქართული ოცნების“ რეგიონებში წარდგენილ კანდიდატებზე. ამასთან გადაცემა „პანორამაში“ გავიდა სიუჟეტი თბილისში სველი წერტილების არარსებობის პრობლემატიკაზე, რის თაობაზე კომენტარი გააკეთეს „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ მერობის კანდიდატებმა.

შპს „ტელეიმედის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში შპს „ტელეიმედის“ მიერ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში გაშუქდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გახსნა, რაც აისახა ტელეკომპანიის მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის დათმობილი დროის გრაფიკზე.



შპს „სტუდია მანესტრო“

შპს „სტუდია მანესტროს“ („მანესტრო“ და „TV11“) საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო „ქართულ ოცნებას“ (41.5%) და

„ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (35.9%) დაეთმო. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „სტუდია მაესტროს“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.


შპს „სტუდია მაესტროს“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.maestro.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „სტუდია მაესტროს“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „სტუდია მაესტროს“ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საინფორმაციო გამოშვება „მაესტროს ცხრიანი“, რომელშიც ინტეგრირებულია დებატების პროგრამა, რომლის ფორმატიც ზოგჯერ იცვლება და გადის როგორც ტიპური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა, ვინაიდან გადაცემაში მხოლოდ ერთი სტუმარია მოწვეული. საანგარიშო პერიოდში გადაცემას პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „საქართველოს გზის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ჩვენი საქართველოს“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პროგრამაში „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის დებატები შედგა ერთხელ.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ და „ნათია გამცემლიძის დებატები“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ვახო სანაიას რეპორტაჟი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ერთხელ) წევრები. ამავე პარტიების წარმომადგენლებს შორის დებატები შედგა. ამავე გადაცემაში გავიდა ვრცელი სიუჟეტი „ქართული ოცნების“ შესახებ. რაც შეეხება გადაცემას „ნათია გამცემლიძის დებატები“, მას საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის და „ქართული ოცნების“, „არასაპარლამენტო ოპოზიციისა“ და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ წარმომადგენლებს შორის.

შპს „სტუდია მაესტროს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს უმეტესად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



საზოგადოებრივი მაუწყებელი

I არხი – საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში „ქართულ ოცნებას“ 27.9%, „ერთიანი ნაციონალურ მოძრაობას“ 24.6%, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციას“ 20.5%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

აღსანიშნავია, რომ სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში განთავსებულ ახალი ამბების პროგრამა „მომბეს“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ I არხის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „პირველი სტუდია“, რომელსაც მონიტორინგის პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.


II არხის – სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ II არხზე განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „ბრიფინგის დრო“, „თავისფალი ტრიბუნა“ და „ეპიცენტრი“. მონიტორინგის პერიოდში გადაცემას „ბრიფინგის დრო“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ჩვიდმეტჯერ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ცხრამეტჯერ), „ქართული ოცნების“ (თექვსმეტჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდეჯერ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (თერთმეტჯერ), „მომავალი საქართველოს“ (ერთხელ), „უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლის“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „თვითმმართველობა ხალხს“

(ერთხელ), „რეფორმატორების“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ) და „საქართველოს გზის“ (ოთხჯერ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „თავისუფალი ტრიბუნა“ სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (სამჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ), „თვითმმართველობა ხალხს“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ) და „ეროვნულ დემოკრატიული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ეპიცენტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „თვითმმართველობა ხალხს“ (ერთხელ), „ჩვენი საქართველოს“ (ერთხელ), „თავისუფლება-ზვიად გამსახურდიას გზის“ (ერთხელ) და „ერთიანობის დარბაზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.gpb.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებელს“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში მნიშვნელოვან საკითხებზე კომენტარის გაკეთების საშუალება. აღსანიშნავია, რომ მონიტორინგის პერიოდში სსიპ „საზოგადოებრივ მაუწყებლის“ მიერ საინფორმაციო გამოშვების პირდაპირ ეთერში გაშუქდა „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის გახსნა, რაც აისახა ტელეკომპანიის მიერ პოლიტიკური პარტიებისათვის დათმობილი დროის გრაფიკზე.



საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (27.3%) და „ქართულ ოცნებას“ (27.2%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „წინო ბურჯანაძე–ერთიანი ოპოზიცია“ (21.1%), ხოლო მეოთხეზე „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (17%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.ajaratv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიამ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევანი“, „არჩევანის დრო“ და „სამართალი ხალხისთვის“.


გადაცემას „არჩევანი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ და დებატები შედგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „საქართველოს გზის“ წარმომადგენლებს შორის (ერთხელ).

ამავე პერიოდში გადაცემაში „არჩევანის დრო“ დებატები გაიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „ქართული ოცნების“, „ხალხის პარტიის“, „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“, „რეფორმატორების“ და „სახალხო პარტიის“ წარმომადგენლებს შორის.

საანგარიშო პერიოდში გადაცემას „სამართალი ხალხისთვის“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (სამჯერ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ორჯერ), „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ხალხის პარტიის“ (ერთხელ), „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ), „მწვანეთა პარტიის“ (ერთხელ), „ერთიანი დარბაზის“ (ერთხელ), „მერაბ კოსტავას საზოგადოების“ (ერთხელ), „რეფორმატორების“ (ერთხელ) და „საქართველოს გზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში შედგა დებატებიც.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში ეთერში გავიდა გადაცემა „ეკონომიკური სტრატეგია“ (19.05.14), რომლის წამყვანიც თენგიზ აფხაზავა თავად არის არჩევნებში მონაწილე სუბიექტი „ქართული ოცნებიდან“.

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია კავკასია“


შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (32.5%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (23%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ (14.8%), ხოლო მეოთხეზე „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (14.6%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.kavkasiatv.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მათწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელეკომპანია კავკასიამ“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო უფასო და ფასიანი პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „სტუდია სპექტრი“, „ბარიერი“, „არჩევანი 2014“. 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში გადაცემას „სტუდია სპექტრი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ორჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ), „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ), „ჩემი საქართველოს“ (ერთხელ) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. გადაცემაში შედგა დებატები „ქართული ოცნების“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლებს შორის. ამავე პერიოდში გადაცემას „ბარიერი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (რვაჯერ), „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ოთხჯერ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ), „საქართველოს გზის“ (ერთხელ) და „საქართველოს ლეიბორისტული პარტიის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემა „არჩევანი 2014“-ის პირველ ნაწილში გავიდა სიუჟეტები „ქართული ოცნების“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“, „არასაპარლამენტო ოპოზიციის“, „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“, „მწვანეთა პარტიის“ და „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ შესახებ, ხოლო გადაცემის მეორე ნაწილში, რომელიც ორი დამოუკიდებელი ბლოკისგან შედგება, მოწვეულნი იყვნენ „მწვანეთა პარტიის“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლები.

შპს „ტელეკომპანია კავკასიის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ სამაუწყებლო ბადის მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში კომპანიის მიერ განთავსებული არ ყოფილა არც ახალი ამბების პროგრამა და არც საზოგადოებრივ-პოლიტიკური თემატიკის პროგრამები.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია ცენტრი ღია აფხაზეთისათვის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.fmabkhazia.com) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, ააიპ „მედია ცენტრმა ღია აფხაზეთისათვის“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „TV8“


შპს „TV 8“-ს საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (38%), „ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“ (33.8%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (23%) (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „TV8“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „TV8“-ს მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv8.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. შპს „TV8“-მ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში შპს „TV8“-ს სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „TV8“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივი“

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში დრო „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (62.2%) და „ქართულ ოცნებას“ (37.8%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.obieqtivi.net) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.


მონიტორინგის შედეგად ირკვევა, რომ ააიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ საკუთარ ეთერში განთავსებული აქვს საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები „ღამის სტუდია“, „პრემიერის საათი“, „პოლიტიკური თოქ-შოუ“, „სადამო ობიექტივში“, „ქართული საგანძური“, ახალგაზრდული პოზიცია“, „პრობლემატური საკითხები“, „არჩევნები 2014“ და „უფლებადამცველის საათი“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ღამის სტუდია“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ცხრაჯერ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ), „სახალხო პარტიის“ (ერთხელ) და „ქართული ოცნების“ (ორჯერ) წარმომადგენლები.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური თოქ-შოუ „სადამო ობიექტივში“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ (შვიდჯერ), „ნინო

ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“(ერთხელ), „ჩვენი საქართველო“ (ერთხელ), „მომავალი საქართველო“ (ერთხელ).

გადაცემაში „პრემიერის საათი“ გავიდა სიუჟეტი „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატების შესახებ (ერთხელ), ხოლო გადაცემას „პოლიტიკური თოქ-შოუ“ სტუმრობდნენ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ორჯერ) წარმომადგენლები. საანგარიშო პერიოდში გადაცემას ქართული საგანძური“ სტუმრობდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენელი, ხოლო გადაცემას „ახალგაზრდული პოზიცია“ სტუმრობდნენ „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლები. ამავე გადაცემაში წამყვანმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მონაწილეობაზე უარი განაცხადა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“. ამავე პერიოდში გადაცემაში „პრობლემატური საკითხები“ დრო დაეთმო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ და „ქართული ოცნების“ პიარკამპანიას. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „არჩევნები 2014“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ამავე პერიოდში გადაცემაში „უფლებადამცველის საათი“ დებატები შედგა „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენელს შორის.

აიპ „მედია-კავშირი ობიექტივის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს ტელეკომპანია "I სტერეო"

შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში დრო ძირითადად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (58.2%) და „ქართულ ოცნებას“ (41.8%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" თვითრეგულირების მექანიზმში

არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" საჯაროდ გამოცხადებული და კომისიაში წარმოდგენილი არ აქვს მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია პროგრამა „მეშვიდე სართული“, რომელიც ხასიათდება საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამის ნიშნებით.

შპს ტელეკომპანია "I სტერეოს" ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „პალიტრა TV“

2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში დრო არცერთ პოლიტიკურ პარტიას არ დათმობია.

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „პალიტრა TV“-ს თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „პალიტრა TV“-ს ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს.

შპს „პალიტრა TV“-ს ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემა „რეზიუმე მერაბ მეტრეველთან ერთად“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდნენ „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ მერობის კანდიდატი კახა კუკავა და საბურთალოს რაიონის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ალექო ელისაშვილი.

შპს „პალიტრა TV“-ს ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს არ ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.


შპს „ხარისხის არხი“

შპს „ხარისხის არხის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში დრო „ქართულ ოცნებას“ (41.6%), „საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას“ (31.1%) და „ნინო ბურჯანაძე-ერთიან ოპოზიციას“ (27.3%) დაეთმო (იხ. დიაგრამა).

შპს „ხარისხის არხს“ ფასიანი და უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის დრო გამოყოფილი არ აქვს.

საანგარიშო პერიოდში შპს „ხარისხის არხის“ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „ხარისხის არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთი“

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში „ქართულ ოცნებას“ 41.9%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 17.3%, „საქართველოს გზას“ 14.7%, „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციას“ 12%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.facebook.com/trialeti.tvradio) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და

აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ, და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ ეთერში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამა „არჩევნები 2014“ და „დღის თემა“. გადაცემას „არჩევნები 2014“ საანგარიშო პერიოდში პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ქართული პარტიის“ (ერთხელ), „ქართული ოცნების“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) და „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პერიოდში გადაცემას „დღის თემა“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდა „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ) წარმომადგენელი.

შპს „ტელე-რადიო კომპანია თრიალეთის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდი“ (ტაბულა)

აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში დრო მეტწილად „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (57.9%) და „ქართულ ოცნებას“ (45.8%) დაეთმო. ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tabula.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, აიპ „სამოქალაქო განათლების ფონდმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა

ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო ბადეში განთავსებულია საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემები „ფოკუსი“ და „თეორემა“. საანგარიშო პერიოდში გადაცემას „ფოკუსი“ პოლიტიკური პარტიებიდან სტუმრობდნენ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (შვიდჯერ), „ქართული ოცნების“ (ოთხჯერ), „არასაპარლამენტო ოპოზიციის“ (ერთხელ), „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციის“ (ერთხელ) და „საქართველოს გზის“ (ერთხელ) წარმომადგენლები. ამავე პარტიების წარმომადგენლებს შორის შედგა დებატები. აღსანიშნავია, რომ გადაცემის წამყვანის განცხადებით „ქართული ოცნების“ წარმომადგენლება ორ შემთხვევაში უარი განაცხადეს გადაცემაში მონაწილეობაზე. ამავე პერიოდში გადაცემას „თეორემა“ სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი. ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ სამაუწყებლო ბადეში ასევე განთავსებულია გადაცემები „მძიმე კაცთან“, რომელსაც საანგარიშო პერიოდში სტუმრობდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენელი და გადაცემა „საუბარი რელიგიაზე“, რომელსაც სტუმრობდნენ „ქართული ოცნების“ (ერთხელ) და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ (ერთხელ) წარმომადგენლები.

ააიპ „სამოქალაქო განათლების ფონდის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტნაკლებად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „მეოთხე არხი“


შპს „მეოთხე არხის“ საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში „ქართულ ოცნებას“ 37.2%, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ 28.3%, „არასაპარლამენტო ოპოზიციას“ 10.9%, ხოლო ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „მეოთხე არხის“ თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „მეოთხე არხის“ მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.facebook.com/tv4-ბათუმი) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „მეოთხე არხმა“ საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

საანგარიშო პერიოდში შპს „მეოთხე არხის“ სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „მეოთხე არხის“ ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „TV3“

შპს „TV3“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო: „ქართულ ოცნებას“ (57.9%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (18.9%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „არასაპარლამენტო ოპოზიცია“ (13.7%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).


მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „TV 3“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „TV 3“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.tv3.ge) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია. კერძოდ, შპს „TV 3“-მა საჯაროდ გამოაცხადა და კომისიას მიაწოდა ინფორმაცია, თუ რომელი რიცხვიდან რომელ რიცხვამდე და რა პერიოდულობით არის გამოყოფილი საეთერო დრო პოლიტიკური რეკლამისა და აგიტაციისათვის, ინფორმაცია 1 დღის განმავლობაში გამოყოფილი ხანგრძლივობის შესახებ და გრაფიკი საეთერო დროის ტარიფებისა და გაწეული მომსახურების შესახებ.

შპს „TV 3“-ს წინასაარჩევნო უფასო პოლიტიკური რეკლამისათვის გამოყოფილი აქვს უფასო საეთერო დრო. ამასთანავე, შპს „TV 3“-ის მიერ ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი ფასიანი დრო არ აღემატება მისი დღიური მაუწყებლობის საერთო მოცულობის 15 პროცენტს და არც ერთ საარჩევნო სუბიექტს არ ჰქონდა დათმობილი ამ დროის ერთ მესამედზე მეტი.

საანგარიშო პერიოდში შპს „TV 3“-ის სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „TV 3“-ის ეთერში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მეტწილად ეძლეოდათ ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება.



შპს „ტელეკომპანია პიკ“

შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში ყველაზე მეტი დრო დაეთმო „ქართულ ოცნებას“ (37.4%) და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ (26.4%). დათმობილი დროის მიხედვით მესამე ადგილზე მოხვდა „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია“ (23%), ხოლო მეოთხეზე „არასაპარლამენტო


ოპოზიცია“ (13.3%). ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაციის შესაბამისად, 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის თვითრეგულირების მექანიზმში არცერთი საჩივარი კომპანიის მიერ მიუკერძოებლობის, სამართლიანობის პრინციპისა და ბალანსის დარღვევის შესახებ არ შესულა.

შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის მიერ საჯაროდ გამოცხადებულია (www.pik.tv) და კომისიაში წარმოდგენილია მაუწყებლის ყოველკვირეული ინფორმაცია.

საანგარიშო პერიოდში შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის სამაუწყებლო ბადეში საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროგრამები განთავსებული არ ყოფილა.

შპს „ტელეკომპანია პიკ“-ის მიერ საინფორმაციო გამოშვებებში კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს ყოველდღიურ ახალ ამბებში კომენტარის გაკეთების საშუალება ეძლეოდათ.



შპს „ტელეარხი 25“


შპს „ტელეარხი 25“-ის საინფორმაციო გამოშვებებში 2014 წლის 10 მაისიდან 24 მაისამდე პერიოდში „ქართულ ოცნებას“ 33.2%, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 24.8%, „არასაპარლამენტო ოპოზიციას“ 18.6%, „ხალხის პარტიას“ 10.4%, ყველა დანარჩენ სუბიექტს კი 10%-ზე ნაკლები დრო დაეთმო (იხ. დიაგრამა).

